ასლი

სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
თბილისი
07.09.2011 № 94

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

"სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების, "მაგისტრატურის შესახებ" სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2007 წლის 30 აპრილის №4 დადგენილებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2011 წლის 8 აგვისტოს №292-11 ბრძანების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წარმართულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების მიღება განხორციელდეს საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი საბუთების მიმღები კომისიების მიერ 2011 წლის 8 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით;
3. დაევალოს მაგისტრატურაში საბუთების მიმღები საფაკულტეტო კომისიების თავმჯდომარეებს, უზრუნველყონ ფაკულტეტების მიხედვით აღნიშნულ ვადებში, ყოველდღე 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე, კვირის და უქმე დღეების გარდა, ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების და თანდართული საბუთების მიღება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
5. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანის ფუნქციის შემსრულებლებს, სწავლების დეპარტამენტში წარმოადგინონ სასპეციალიზაციო საგამოცდო საგნების მიხედვით საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობები არა უგვიანეს 2011 წლის 13 სექტემბრისა;
6. შეიქმნას/დამტკიცდეს საუნივერსიტეტო საპრეტენზიო საბჭო არა უგვიანეს 2011 წლის 14 სექტემბერისა;
7. სასპეციალიზაციო გამოცდები ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდეს 2011 წლის 20 სექტემბერს სტუ-ს VIII კორპუსში, კოსტავას ქ. 77, შემდეგი განრიგით:

10^{00} –13^{00} საათი

- სამშენებლო ფაკულტეტი
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

14^{00} –17^{00} საათი

- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი;

8. სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგები გამოცხადდეს იმვე დღეს, 20 სექტემბერს და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს ამა წლის 21 სექტემბერიდან 23 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა – ამა წლის 24 სექტემბერს;
10. სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 24 სექტემბერს და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
11. ფაკულტეტების დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა, საერთო სამაგისტრო გამოცდის თითოეული ნაწილისა და სასპეციალიზაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე (საკონკურსო ქულა), მოამზადონ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების საფაკულტეტო დოკუმენტი და შესაბამისი წარდგინება სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ და ჩააბარონ ისინი სწავლების დეპარტამენტს ამა წლის 26 სექტემბერს;
12. სტუ-ს ფაკულტეტების დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა უზრუნველყონ მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმება 2011 წლის 28 სექტემბრამდე;
13. სწავლების დეპარტამენტის უფროსმა ი.ლომიძემ 2011-2012 სასწავლო წლისთვის სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არა უგვიანეს ამა წლის 30 სექტემბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
14. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე;
15. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ.მაისურაძე